საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლუციური პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 25,000 მ. სამკლოვიანი განცხადება 30,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 1000 მან.

№ 166
შაბათი, დეკემბრის 24
1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დანიშნული რევკომები უნდა შესცვალოს არჩეულმა საბჭოებმა.
# საბჭოებს ირჩევს მუშები და მშრომელი გლეხობა

## უკვე მუშაობას შეუდგა საქართველოს საბჭოების მომწვევი ცენტრალური კომისია და მალე გამოქვეყნდება საარჩევნო დებულება-ინსტრუქციები.

# მზად ვიყოთ არჩევნებისათვის და ავირჩიოთ მშრომელთა ძალაუფლების ერთგულნი.

## უნდა ვიმუშაოთ

გასულმა არჩევნებმა ტფილისში ნათლად და გარკვევით დაგვანახა პარტიათა ფიზიონომია. ჩვენმა პრესამ ამ გარემოებას მაშინვე მიაქცია ყურადღება და აღნიშნა ბოიკოტის მნიშვნელობა.

დღეს ჩვენ გვსურს შევჩერდეთ კიდევ ამ საკითხის შესახებ. ბოიკოტი მენშევიკებისა და მათი თანამოაზრეებისა არ არის შემთხვევითი მოვლენა, გამოწვეული „უცხო“ ელემენტთა მონაწილეობით არჩევნებში. საჭიროა ოდნავად გაკვეთა ამ ფაქტის, ოდნავი ოპერაცია ამ მოვლენის, რომ ჩვენთვის აშკარა გახდეს ბოიკოტის პოლიტიკური მიზნები, მისი პოლიტიკური მნიშვნელობა.

მენშევიზმი დიდი ხანია ცნობილია ჩვენთვის, როგორც იდეოლოგია, რომლისთვის საქართველოს იდეა არ არის ღირებულების მატარებელი მოვლენა. მენშევიზმი არ ემსახურებოდა ქართველ ერს, არ ისახავდა მიზნად საქართველოს სამსახურს, სანამ იგი ისტორიის ნებამ არ განდევნა რუსეთის ტერიტორიისაგან და, როგორც „ხიზნებს“, თავი არ შეაფარებინა საქართველოში. იწყება მეორე პერიოდი მენშევიზმის მოღვაწეობისა, პერიოდი საქართველოს სამსახურისა, რომელიც პარტიის სამსახურის აუცილებლობიდან გამომდინარეობს.

მეორე პერიოდში მენშევიზმი ამქუდებით ემსახურებოდა ქართველ ხალხს, იგი ხელს უწყობდა ეროვნული სახელმწიფოს შენებას, ამაში მენშევიზმი ხედავდა ფართესად პარტიული საქმის კეთებას და იგი ყოველი საშუალებით ცდილობდა პარტიული ტახტის გამაგრებას.

მაგრამ მენშევიზმი შორდება საქართველოს, იგი შავი ზღვის მიმართულებით მიეშურება და ამ შემთხვევაშიაც მენშევიზმს პარტია ახსოვს, ისტორია მეორდება. თუ რუსეთის მაშტაბით მომქმედი მენშევიზმი უარყოფდა საქართველოს, დღეს პარიზით შემოფარგლულ მენშევიზმისათვისაც საქართველო მოქმედების შირმაა.

მენშევიზმის მოღვაწეობის ეს ხანა მესამე პერიოდია. ეს მოღვაწეობა მიზნად ისახავს, როგორადაც არ უნდა დაჯდეს არსებული ხელისუფლება დაამხოს. ამ მთავარი მიზნისათვის ორი გზაა. პირველია—აჯანყება, მეორეა—ინტერვენცია. პირველი გზით მენშევიზმი არ ფიქრობს ბატონობის აღდგენას, იგი დარწმუნდა, რომ ეს გზა ვერ მისცემს მას სასურველ შედეგს. ამიტომ მენშევიზმმა მეორე გზა აირჩია. ეს გზაა—ინტერვენცია. მაგრამ მენშევიზმი თითონვე ამბობს: არ გეგონოთ მე იმპერიალისტური ინტერვენცია მსურდეს, არა, მე სოციალისტური ინტერვენციის მომხრე ვარო.

აქ სდგება ორი საკითხი: ერთი შესაძლოება ასეთი ინტერვენციისა, მისი ბუნება და მეორე სასურველობა ინტერვენციის, მისი მიზანშეწონილება.

პარიზის მენშევიკები სოციალისტურ ინტერვენციაზე მოუთხრობენ ქართველ ხალხს. არის კი ასეთი ძალა? არის პარიზში სოციალისტური მხედრობა? ვისი შეიძლება იყოს ეს ინტერვენცია?

მენშევიზმის საერთაშორისო ორგანიზაცია მეორე ინტერნაციონალია. ეს ორგანიზაცია ფაქტიურად არ არსებობს 8 წლის განმავლობაში მეორე ინტერნაციონალმა სამჯერ მოიწვია სხდომა, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ შესძლო შეკრება. აქედანაც აშკარაა ამ ორგანიზაციის ორგანიზაციული სიძლიერე. მაგრამ მისი იდეოლოგიური „სიძლიერეც“ აღნიშვნას მოითხოვს. ჩვენი მიზანი არ არის ამ შემთხვევაში იდეოლოგიური მხარე მეორე ინტერნაციონალისა, რამდენადაც ჩვენთვის იგი საინტერესოა, როგორც ფიზიკური ძალა—ინტერვენციის შტაბი. ამ მხრივ სასაცილოა მეორე ინტერნაციონალზე ლაპარაკი.

მაგრამ მენშევიზმი არ არის გულუბრყვილო მიმართულება, რომელიც მეორე ინტერნაციონალის რაზმებზე დაეყრდნობა თავის მომავალს. ამიტომ ჩვენ კარგად გვესმის მენშევიზმის „ინტერნაციონალი“, რომელსაც საკმაო რაზმი ჰყავს და რომელიც „ერთა ლიგათ“ იწოდება. საბჭოთა ხელისუფლების დამხვრევაში თანაბრად დაინტერესებულია მაკდონალდი და ბრიანი, ჟუო და ჯორჯი. ამიტომ არის, რომ მენშევიზმი იმედს ამყარებს ინტერვენციაზე, იგი ფიქრობს ინგლისის ჯარით შემოვიდეს საქართველოში და „ერთა ლიგის“ წყალობით შეიმკოს შუბლი ძლევის გვირგვინით.

მაგრამ ეხლა საჭიროა ვიკითხოთ, თუ რამდენად არის ეს მისადები ეროვნული პოლიტიკის თვალსაზრისით. ინტერვენცია, და განსაკუთრებით იმ სახის, რომელიც შესძლებდა არსებული ხელისუფლების განდევნას საქართველოდან, ეს იქნებოდა ბუმბერაზ ძალთა შეჯახება ჩვენს მიწა-წყალზე, რაიც აუცილებლად ქართველი ერის არსებობას დაემუქრება. ჩვენთვის უმთავრესი მიზანი, როგორც პატარა ერის მიზანი ეროვნულ-ცენტრების ეკონომიზაცია უნდა იყოს. მენშევიზმისათვის, რომელიც პარტიის, ხელისუფლებისათვის იბრძვის, მისადები ქართველი ხალხის აბარგებაც საქართველოდან, ჩვენი ტერიტორიის გადარუჯვა ინგლისელთა ზარბაზნებითა და სხვა.

რას ნიშნავს ყოველივე ეს? როგორია სასურველობა ამ შემთხვევაში, ქართველი ხალხისათვის? შეიძლება თუ არა ინტერვენციის მიღება, თუ გნებავთ მიუღებელ ხელისუფლების დროსაც კი?

ამ კითხვებს აუცილებლად უარყოფითად გადაჭრის ქართველი ხალხი. მას სწყურია მშვიდობა და მოსვენება და არა კიდევ უმაგალითო ომის თეატრად გადაქცევა.

რადგანაც ჩვენთვის ნათელია მენშევიზმის პოლიტიკა საქართველოს მიმართ, რადგანაც ჩვენთვის აშკარაა, რომ მენშევიზმისათვის საქართველო არარაა, მისთვის სამსახური მენშევიზმის მიზანი არც ყოფილა და არც არის, აქედან ნათელი ხდება მენშევიკების მიერ ბოიკოტის წარმოება.

მენშევიზმმა საბოტაჟი უარყო. ამავე მენშევიზმა ბოიკოტი გამოაცხადა. მენშევიკებისათვის მისადებია კანცელარიებში ჯდომა, მას „ეროვნულ მოვალეობათ“ სთვლიან, მაგრამ ამავე მენშევიზმისათვის მისადები არ არის პოლიტიკური თანამშრომლობა.

მენშევიზმი აწარმოებს პოლიტიკურ საბოტაჟს, რომელიც საბოტაჟის უმაღლესი ფორმაა, მაგრამ იგი რეგისტრატორობას არ უარყოფს კანცელარიებში და საბოტაჟის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს.

სად არის აქ ლოღიკა? სად არის პოლიტიკური სინიდისი? სად არის ერის სამსახური?

ამიტომ მენშევიზმა ბოიკოტის გამოცხადებით საფსებით გამოააშკარავა თავისი ანტიეროვნული, ანტისოციალისტური ბუნება. ბოიკოტი ლოღიკური დასასრული იყო იმ პოლიტიკური კომბინაციების, რომელზედაც უნაყოფოდ ოცნებობენ მენშევიკები პარიზში და მათი კუდები საქართველოში.

მაგრამ მენშევიკებს ახლავს მემარჯვენე ფედერალისტებიც. ამის ახსნა გაცილებით მარტივია. მაგონდება 1903 წლის მოძრაობის შემდეგ რეაქცია, როდესაც მეგრელებს ჰკითხეს, რა გინდათ თქვენო?—და პასუხად მიიღეს:—ის რაც გურულებს უნდათო! ასეთია არსებითად მემარჯვენე ფედერალისტების პოლიტიკა. იგი დამატებაა მენშევიზმის და როგორც ობიექტიური კულტურის პროცესი ერთი მხრით, ისე სუბიექტიური სამზადისი მეორე მხრით ამ ორ მიმართულებას ისე აკოტრებს იდეოლოგიურად, როგორც გააკოტრა იგი ორგანიზაციულად.

ისტორიის ჩარხის ტრიალი მათ შორის გასტყორცნის.

ჩვენ საქართველოს არ ვისახავთ ბატონობის ობიექტად. ყოველ პირობებში ვიმუშავებთ ჩვენ, მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ და ყველას მოვუწოდებთ: ვიმუშაოთ, ვიმუშაოთ!

## საქართველოს საბჭოთა არჩევნებისათვის

საქართველოს საბჭოების ყრილობის მომწვევმა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, 16 დეკემბერს თავის სხდომაზე დაადგინა:

1) სამაზრო საბჭოების ყრილობის მოწვევის უკანასკნელ ვადის შესახებ: მოეწყოს მთელ საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე 1922 წლის 10 თებერვლამდი სამაზრო საბჭოების ყრილობები.

2) სამაზრო საარჩევნო კომისიის საკითხის შესახებ: მოეწყოს ყველა მაზრებში სამაზრო რევკომის შინაგან მმართველობის განყოფილების გამგის თავმჯდომარეობით, სამაზრო საარჩევნო კომისიები შემდეგი შემადგენლობით: თითო წარმომადგენელი კომპარტიის სამაზრო კომიტეტებისაგან, კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირისაგან, მემარცხენე სოც. ფედერალისტებისაგან და წითელი არმიისაგან.

3) საბჭოებში წარმომადგენელთა ნორმების საკითხის შესახებ: თემის საბჭოები შესდგებიან იმ ანგარიშით—რომ სოფლის მცხოვრებლების ყოველ 50 კაცზე აირჩეს 1 დეპუტატი. სამაზრო საბჭოების ყრილობები—სოფლის მცხოვრებლების ყოველ 500 კაცზე ან ქალაქის ყოველ 1,000 კაცზე აირჩევა თითო დელეგატი.

საქართველოს ყრილობა უნდა შესდგეს სამაზრო ყრილობების დელეგატებისაგან იმ ანგარიშით, რომ სოფლის მცხოვრებლების 5,000 ან ქალაქის 1000 ამომრჩეველზე მოდიოდეს 1 დელეგატი.

4) საბჭოების არჩევნების და საბჭოების ყრილობის ინსტრუქციის საკითხის შესახებ: მიენდოს ამხ. ელიავას წარმომადგენოს ც. ნ. საარჩევნო კომისიის შემდეგ სხდომაზე საბჭოების არჩევნების და საბჭოების ინსტრუქციის პროექტი.

5) ქალაქებისა და დაბების საკითხის შესახებ: მიენდოს ამხ. ელიავას წარმომადგენოს შემდეგი სხდომისათვის სია ქალაქების და დაბებისა, რომლებიც იმყოფებიან საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე და რომლებიც საჭიროებენ თემებთან შედარებით ადგილობრივ საბჭოების და აღმასკომების განსაკუთრებულ კონსტრუქციას.

## თეთრგვარდიელთა ტკბილი სიზმარი

ბერლინი. 8 დეკ. საქართველოს ვენშტოკის მიერ კონსტანტინოპოლში გაგზავნილის, „ადელხანოვიას“ ფირმის რწმუნებულის გადმოცემით, ტფილისში და საერთოდ საქართველოში 80 პროცენტი საბჭოთა დაწესებულებათა ძველ ძეპარტამენტები დაიჭირეს უკანვე, საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეთ არის ტახსაცემლის დიდი სახელოსნოს პატრონი სტროგანოვი—სახალხო სოციალისტი, ხოლო ვნეშტორგის მეთაურათ—მოსკოვიდან დანიშნული უპარტიო ციციანოვი.

ტფილისის მთელი მილიცია გქვემდებარება ადგილობრივ სამხედრო კომენდანტს თარხან-მოურავს, ყოფილ პოლკოვნიკს კავკასიის გრენადერთა პოლკისას. ტფილისის საბჭოში მთლად მენშევიკები და უპარტიონი გვიდნენ. ქალაქის გამოკვების საქმე ცუდათაა დაყენებული. გლეხები უკმაყოფილო არიან გამოწვეული რეკვიზიციებით და უარს ამბობენ ქალაქისთვის სურსათ-სანოვაგის მიწოდებაზე.

ბერლინი. 8 დეკ. „Голос России“ სწერს: კონსტანტინოპოლს აწვდებიან ტფილისიდან ლტოლვილნი. სამხრეთ საქართველოში იფეთქა ძლიერი მოძრაობამ. იქავე დროსვე ჩრდილოეთ ნაწილში იფეთქა მენშევიკური აჯანყებამ. აჯანყებულთ დაიკავეს დუშეთი.

ასეთ „სარწმუნო“ ცნობებს ავრცელებენ საქართველოს შესახებ მისი მტერმოყვარენი.

## ახალი ამბები

— ლიტერატურული ხუთშაბათი. ხუთშაბათს დეკემბრის 22-ს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ინიციატივით, გაიმართა მორიგი საღამო. მოხსენება წაიკითხა: კოკი აბაშიძემ: იმპრესიონიზმი მეორე ჩვენი მწერლობის შემოქმედებაში“. მოხსენების შემდეგ გაიმართა საინტერესო კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: კოწია გამსახურდიამ, ია ეკალაძემ, შ. აფხაზიძემ, ალექსანდრე წერეთელმა, დ. მეჩონაძურმა, ვ. ბოკერიამ, გ. ნადირაშვილმა, ბარამიძემ და სხვ. თავმჯდომარეობდა სოსო გრიშაშვილი. ხალხი აურაცხელი დაესწრო.

— ლიტერატურული საღამო. კვირას დეკემბრის 25 2-რე კონსერვატორიის დარბაზში (პეტრე დიდის ქუჩა) გაიმართება ლიტერატურული საღამო. მოხსენება წაკითხული იქნება თანამედროვე ხელოვნებაზე. მონაწილეობენ პოეტები: გრ. ცეცხლაძე, ოპოლი მუშა, რაჟდ გოგოხია, გ. ქუჩიშვილი, ტერენტი გრანელი, ქნარი, აკ. ზერეკაშვილი.

— ტფილისის განტვირთვა. საგანგებო სატვირთვო სამეულის ორგანიზაცია მიენდო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრს და ტფილისის განტვირთვის ცენტრალურ საუწყებათაშორისო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ა. სიდამონიძეს. მასვე მიენდო დაწვრილებითი ინსტრუქციის შედგენა ამ სამეულისთვის და მთავრობისადმი წარდგენა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საშუალებით. ერთ უმთავრეს მიზანს საგანგებო სატვირთვო სამეულისას შეადგენს მოსახლეობის ზრდის შეჩერება ტფილისში, იმ ელემენტებისაგანაც, რომლებსაც მასთან არავითარი საქმიანი კავშირი არა აქვთ-რა. საგანგებო სამეული იარსებებს მუდმივად, ვიდრე არ გაივლის სასურსათო და საბინაო კრიზისი; და თვით მუშაობა იქნება მოთავება იმ მუშაობისა, რომელსაც ამ ჟამად ტფილისის განტვირთვის ცენტრალური საუწყებათაშორისო კომისია აწარმოებს. ვიდრე ამ უკანასკნელს არ დაუსრულებია თავისი მოქმედება, მისი მუშაობა იწარმოებს საგანგებო სამეულის მუშაობასთან პარალელურად და მასთან სრულ კონტაქტში.

— ფულის გადაგზავნა საქართველოში, სახელმწიფო ბანკის გამგეობამ მოსკოვში გამოაცხადა ფულის მიღება ბლანკებით, საქართველოსა და აზერბაიჯანში გადასაგზავნად.

## საბჭოები რუსეთში

ვორონეჟის გუბერნიაში დასრულდა ახალი არჩევნები სასოფლო, სარაიონო და სასოფლო საბჭოებისა, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მცხოვრებთა 40—75 პროც. სარაიონო (Волость) აღმასრულებელ კომიტეტებში 45—60 პროცენტი კომუნისტებისაა, ქალაქის საბჭოებში კი 60—70 პროცენტი.

კოსტრომის გუბერნიაში სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებში არჩეულია 92 კომუნისტი და 75 უპარტიო. საგუბერნიო ყრილობაზედ არჩეულია 81 კომუნისტი და 47 უპარტიო.

კრემენჩუგის ქალაქის ახლად არჩეულ საბჭოში გავიდა 70 პროც. კომუნისტებისა.

მოგილევში. სამაზრო მეხუთე ყრილობაზედ გამოცხადდა 225 დელეგატი, ამათგან კომუნისტია 108.

კოსტრომის საბჭოს მეექვსე ყრილობის შემადგენლობა: 68 კომუნისტი და 106 უპარტიო. (იზვესტია № 276).

კოსტრომის გუბერნიის საბჭოთა მეთორმეტე ყრილობას დაესწრო 156 დელეგატი, აქედან 77 კომუნისტია.

ტამბოვის გუბერნიის, ბორისოგლების მაზრაში დასრულდა სოფლებისა და რაიონების საბჭოთა არჩევნები. მონაწილეობა მიიღო დაახლოვებით 50,000 კაცმა. სარაიონო (Волость) აღმას. კომიტეტებში არჩეულია 44 კომუნისტი, 125 უპარტიო, სასოფლო საბჭოებში აირჩიეს 46 კომუნისტი და 1,915

უპარტიო; ქალაქის საბჭოში—50 კომუნისტი და 22 უპარტიო.

(იზვესტია № 279).

როგორც ეს ცნობები მოწმობს, რუსეთში სასოფლო და სამაზრო საბჭოებში და აგრეთვე აღმასრულებელ კომიტეტებში ხშირად დიდი უმრავლესობა გადის უპარტიოები. აშკარაა პარტიის დიქტატურა აქ გამოიხატება მხოლოდ იდეურ ხელმძღვანელობაში.

# უცხოეთი

**ბერლინი.** დეკემ. 20-ს პირველი ბჭობა, ბრიანისა ლლოიდ-ჯორჯთან მოხდა დეკემბრის 19-ს, დილით, საგარეო საქმეთა სამინისტროში. ბრიანს თან ახლდა ლიუშერი, ბერტელო და თარჯიმანი მანტუ. ინგლისის მხრიდან ლლოიდ-ჯორჯის გარდა დაესწრენ ჩემბერლენი და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი რობერტ გორნი.

**ნიკოლაევი.** დეკ. 19-ს ბერლინის ბურჟუაზიული გაზეთები იუწყება, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალი იძულებული შეიქნა მიეღო ახალ ომების დაწყების საწინააღმდეგო რეზოლიუცია. რეზოლიუციაში ნათქვამია: „ვაცხადებთ რა მზადყოფნაში, რომ მილიტარიზმის რეაქცია იზრდება მთელ მსოფლიოში, რომ აუცილებელი ხდება ახალი ომი, თუ მთელი ქვეყნის მუშათა კლასმა არ გაუწია წინააღმდეგობა კაპიტალისტების მიერ გამოწვეულ საშიშროებას, კონფერენცია მიმართავს მსოფლიოს მუშათა კლასს მხურვალე მოწოდებით ებრძოლოს მთელი ენერგიით კაპიტალიზმს და მასთან უშუალოდ დაკავშირებულ-მილიტარიზმს. აუცილებელია უფრო ენერგიული პროპაგანდა საერთო განიარაღების წინააღმდეგ ყველაზე მეტად დღეს, ვინემ ოდესმე იყო საჭირო, კონფერენცია მოუწოდებს მუშათა კლასს შეკავშირებისაკენ, აგრეთვე საერთაშორისო გაფიცვისაკენ, თუ დაიწყო ომი. კონფერენცია მიმართავს ქალებს, დედებს, ქმრებს და შვილებს მოწოდებით, რათა დაუპირისპირდეთ და გამოუცხადოთ ომი მილიტარიზმს“.

**ნაუენი.** დეკ. 20. რესპუბლიკანელების, დემოკრატების და სოციალისტების პარტიულ კონფერენციაზე ნიტანსმა განაცხადა. „ჩვენი მოკავშირეები უნდა იყვნენ სამართლიანი ჩვენ მოთხოვნილებათა საქმეში. წინააღმდეგ შემთხვევაში საფრანგეთს დარჩება ერთი: გაილაშქროს თვით ბერლინზე და ამ გზით გაინაღდოს თამასუქები. ყრილობამ დაადგინა, ეთხოვოს ბრიანს, რომ მან არ გადადგას ნაბიჯი გერმანიასთან დაახლოებისაკენ და დაიცვას საფრანგეთის საარსებო ინტერესები.

**ჰანნოვერი.** დეკ. 17. ალბანეთში მოხდა ახალი გადატრიალება, რომელსაც მოჰყვა სისხლის ღვრა და შეტაკებანი.

**ჩიტა.** დეკ. 14. ვაშინგტონის კონფერენციაზე ჩინეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სანამ ჩინეთი სუსტია, შეუძლებელია სამართლიანობის მიღწევა. ჩინეთის გაძლიერებისათვის საჭიროა ჯარის რეორგანიზაცია და ჩინეთის დაახლოვება საბჭოთა რუსეთთან. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ჩინეთის მდგომარეობის გაუმჯობესობა.

**ჩიტა.** დეკ. 14. ჩინეთის მცხოვრებნი აღშფოთებული არიან იმ გარემოებით, რომ ვაშინგტონის კონფერენციამ არ აღიარა ჩინეთის სუვერენული უფლებები. შანხაიში მოხდა დემონსტრაცია საპროტესტოდ, რომელშიაც მიიღო მონაწილეობა 10 ათას კაცმა. დემონსტრანტების ნაწილმა აღიარა კაპიტალისტურ წეს-წყობილების დამხობა და უარყოფა კერძო საკუთრებისა.

**მოსკოვი.** დეკემ. 21. ქრისტიანიაში დეკ. 15. მოხდა უმუშევართა გრანდიოზული დემონსტრაცია.

# მოკვეთილი აზრები ხელოვნებაზედ

I

თანამედროვე სიტყვები იმდენად გაცვდა აზრით და აზრი სიტყვებით, რომ არსებული ჩარჩოები ვერ იზიდავს მომხიბლაობას. სიტყვას ფერი ეკარგება და აზრს საზრდო უძველდება. საჭიროა აზრის მარტივად მოკვეთა და სიტყვების ახალი ფერებით შემოსვლა. სიახლე უნდა აჩნდეს როგორც ფერს, ისე ჟღერადობა თქმისა და გამოთქმის. ერთი სიტყვა უნდა იტევდეს მრავალ ფერებს და სურათის დახატვისათვის საკმარისი უნდა შეიქმნეს ერთი მოჭედილი სიტყვა. სურათის ნაწილი მთელს განცდას უნდა იძლეოდეს ისე, როგორც მთელი სურათი. სურათის ნაწილებით გადმოცემა თავის თქმაში უნდა იწვევდეს მთელს რევოლიუციას სურათის ახალი გაგებისათვის. აზრი და სიტყვა იმდენათ უნდა გადაეტლანსმნოს ერთმანეთს, რომ პირველი არ აზროვნდეს მეორეს და მეორე პირველს. შემოქმედის სულის კივილი უნდა ისმოდეს, როგორც მთელ სურათში ან მის ნაწილში, აგრეთვე უბრალო ნიშნებშიაც კი.

ნიშნების ხმარება უნდა გართულდეს, რომ შემოქმედთან დაახლოვება და აზრის გაგება გამარტივდეს. მთელი ამ წესდამორჩილებული შემოქმედება მოგვცემს შემოქმედის ნამდვილ გამართლებას ხელოვნებაში. ტომებისა და ფურცლების კითხვამ ხალისი და მიმზიდველობა დაკარგა, საჭიროა ახალი გამოხატვა თქმისა, სიტყვებითა და სტრიქონებით შემოხაზული, და ამ ახალმა ხმარებამ უნდა მოგვცეს ყველაფერი, როგორც ნაწყვეტებით, ისე მთლიანათ, გამართლებული თვით ცხოვრების ფეროვან სინამდვილით.

ბურუსაშვილი.

# თეატრი და ხელოვნება

**„თქმულება შოთა რუსთაველზე“.**

შაბათს; დეკემბრის 17-ს სახელმწიფო ოპერის თეატრში დიდი ხნის უნახველობის შემდეგ დაიდგა დ. არაყიშვილის ოპერა: „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

ავტორს ორი მოქმედებიანი ოპერა სამ მოქმედებად ჰქონდა დაწერილი: ჩაუგდებულ პირველი მოქმედება.

ეს მოქმედება კი არა უფრო სურათია: სურათში მხოლოდ დუეტია შოთასი და მისი დანიშნულის ნინოსი, რომელიც სასიამოვნოა მოსასმენია, კულისებში კი, როგორც ფარდის ახდისას ისე ჩამოშვების დროს: ისმის ჟურნული. ჟურნულს მღერის სარაჯიშვილი. სარაჯიშვილის ჟურნული საუცხოვოა, მაგრამ შოთა და ჟურნული კი როგორღაც ვერ ეგუება ერთმანეთს. აშკარაა ავტორს სურდა კულისებში ჟურნულის სიმღერით ერთგვარი ელფერი მიეცა სურათისთვის, მაგრამ ამ ჟურნულს სარაჯიშვილი არ უნდა მღეროდეს; ფარდის ახდისთანავე ისმის სარაჯიშვილის ჟურნული და ჟურნული გათავდება თუ არა, შემოდის შოთა—სარაჯიშვილი! შოთა და ჟურნული კი როგორღაც ფუტურისტული გამოდის!

დეკორაციები ახალია: დახატული ვ. სიდამონ ერისთავის მიერ. ეს ერთად ერთი მხატვარია, ჩემის აზრით, რომელიც მუშაობს, ეძიებს და რომელმაც იმედები გაამართლა ჩვენს თვალში:

არ ვიცი ოპერა ვინ დასდგა, მაგრამ არ შეიძლება ჩვენი აღშფოთება არ გამოსთქვათ იმ უნიჭო უსისტემობაში, რომლითაც გაგვიმასპინძლდა ამ საღამოს რეჟისორი: ჩვენში რეჟისორის სახელის ტარება იოლი საქმე ყოფილა! ყველას შეუძლიან თურმე, ვისაც ტენორს ბასიდან ვერ არჩევს რეჟისორობს ოპერაში! ან და გადადგმევენ სკამს აარჯვენივ და ასეთ შეცვლას—„ახალ დადგმულად“ ასაღებენ. ოპერაში რომ დრამის [illegible] ძველი მცნებაა, მაგრამ ახალ სამართველოში ყველა [illegible] თვალი ხალხი „განთქმული“ ტრფიალისმოყვარეობით და მეორე მოქმედებაში კი სტუმრები ჯარისკაცებივით მიეყარათ განაპირას და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ გუნდი ასცდა ორკესტრს და ერთი კაკაფონია იყო სცენაზე, რომლის მოსმენის დროსაც თვით ავტორიც კი იფარავდა ყურებს.

ახლა ბალეტი! შეიძლება ძორდკინი დიდი არტისტი იყოს, მაგრამ გულწრფელად ვურჩევთ თეატრის დირექციას, მეორედ ნულარ გაგვიმასპინძლდება ასეთი ბალეტით! თუშ-ქალთა ცეკვა, რომლითაც არა ერთხელ დამტკბარა საზოგადოება, ამ საღამოს ისე საშინლად იქმნა შესრულებული, რომ დამსწრეები კითხულობდნენ: ავტორს თუშების ცეკვა რათ გამოუტოვებიაო! არც საჭიდაო, რომელიც ვაკარეცის დროს, ფარიკაობას ჰგავდა ხოლმე და არც ლეკური: ცეკვას არ მოგვაგონებდათ. ერთი სიტყვით ბალეტი წყალწყალა და ვულგარული იყო...

დ. არაყიშვილის მუსიკის შესახებ ორი აზრი შეუძლებელია. მაგრამ არა მგონია ასეთი შესრულებით დაინტერესოს კვლავ ქართველობა, როგორც ეს „ეთერზეა“ ხოლმე.

დასასრულ არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ ჩვენს კომპოზიტორებს, რომ ქართულ ოპერებს ლიბრეტო არ უვარგათ!! კარგად და სცენისთვის შემუშავებულ ლიბრეტოს კი დიდი მნიშვნელობა აქვს ოპერის სასრულისთვის. შეიძლება ზოგიერთი ოპერა ადგილადგილ საუცხოვოც იყოს, მაგრამ ქართველმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ იგი ოპერაზე მიდის და არა რომელიმე კონცერტიულ განყოფილებაზე.

უჯაგრელი.

# მასწავლებელთა საერთაშორისო მოძრაობა *)

„დღემდის მასწავლებლობა წარმოადგენდა და მათი დიდი უმრავლესობა ეხლაც წარმოადგენს ძლიერ იარაღს ბურჟუაზიის ხელში მუშათა კლასის მოსათვინიერებლად, პროლეტარიატის კლასობრივ თვითშეგნების დასაბნელებლად“ „შეგნებულად და შეუგნებლად მასწავლებლები ყველა ქვეყანაში ამაგრებდენ იმ ბურჟუაზიულ კლასობრივ სკოლას, რომელიც დღეს წარმოადგენს ყველაზე უძლიერეს სიმაგრეს ბურჟუაზიულ წყობილებისა, „არის ცენტრალური რეაქციის, კლერიკალიზმის და ნაციონალიზმის, სიმაგრე იმპერიალიზმისა და შოვინიზმის. შეგნებულად და შეუგნებლად მასწავლებლობა იყო ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამტარებელი მუშათა კლასში“. ეხლა „რევოლიუციონურმა მასწავლებლობამ უნდა შეასრულოს უდიდესი როლი პროლეტარულ მასწავლებლების და მთელი მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეში ბურჟუაზიული იდეოლოგიისა ტყვეობისა და ბურჟუაზიული ძონძობისაგან“.

„რევოლიუციური მასწავლებლობა, გამაგრებული პროლეტარიატის მიერ, წარმოადგენს დიდ ფაქტორს კომუნისტური რევოლიუციისა და დიდ მუქარას კაპიტალისტური წყობილებისათვის“.

(მონოპიდან „განათლების მუშაკებს ყველა ქვეყნისა“, რომელიც მიღებულ იქნა 15 ქვეყნის განათლების მუშაკთა თათბირზედ 1921 წლის ივლისის დამდეგს).

ამ წერილში გვინდა აღვნუსხოთ ზოგიერთი შედეგი დიდი დასაწყისისა, რომელიც ითავა სრ. რუსეთის განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა სხვა-და-სხვა ქვეყნის რევოლიუციონურ მასწავლებლობის წარმომადგენლებთან ერთად, წითელ პროფკავშირების საერთაშორისო კონგრესის დროს, 1921 წლის ივლისის 3—9-ს.

მთელ რიგ თათბირებზედ, პირველად შეხვდნენ ერთმანეთს განათლების მუშაკთა წარმომადგენლები, რომელნიც იღვწიან განთავისუფლებულ შრომის ქვეყანაში და წარმომადგენლები სხვა და სხვა ქვეყნის მასწავლებლობისა, ქვეყნების უფრო მაღალი კულტურით, მაგრამ რომლის კულტურა დღემდის წარმოადგენს კულტურის კაპიტალისტური ძალობისა და კერძო საკუთრების პრივილეგიებთან უშიშვნელო უმცირესობას.

გვინდა მკითხველს გავუზიაროთ ამ თათბირთა მუშაობის ნაყოფი.

განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტის განკარგულებაშია წერილობითი და ზეპირი მოხსენებანი, როგორც სასკოლო საქმის მდგომარეობის შესახებ, ისე მასწავლებელთა პროფესიულ მოძრაობის შესახებ 12 ქვეყანაში, რომელიც წარმოდგენილი იყო კონგრესზედ მასწავლებლით პერსონალურად და მასწავლებელთა ორგანიზაციების ოფიციალი წარმომადგენლებით. ეს მასალები ერთად შეგროვებული და საზღვარ გარეთულ ჟურნალებიდან აღებული ზოგიერთი ცნობები (კერძოდ საფრანგეთის მასწავლებელთა ფედერაციის ჟურნალიდან „L'Ecode emancipee“ რომელიც მოგვაწოდა ფრანგმა ამხანაგმა), გვიხატავს სურათს პოლიტ. მოძრაობისა, ეკონომიური და უფლებრივ მდგომარეობას მასწავლებელთა საზღვარ გარეთ. გარდა ამისა ზოგიერთი მასალა მოიპოვება სპეციალურ მოხსენებაში და შემდეგ მოიპოვება ბევრ ბროშურაში, რომელიც სწარმოებდა საფრანგეთის და იტალიის მასწავლებელთა ორგანიზაციებსა და გერმანიელ მასწავლებელთა შორის. ეს მიწერ-მოწერა გვიხატავს რეალ ნაბიჯს და ცდებს, რომელიც წამოიწყეს გერმანიის, საფრანგეთის და იტალიის კავშირებმა, მოწინავე მასწავლებლობის საერთაშორისო გაერთიანებისათვის. ეს ცნობები მით უფრო ძვირფასია განათლების მუშაკთათვის ჩვენში, რომ მათ საზოგადოთ ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ საქმის მდგომარეობაზედ საზღვარ გარეთ. მათი გამოქვეყნება, რასაც ამზადებს განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრ. კომიტეტი, მოგვცემს ცოცხალ წარმოდგენას იმაზედ, თუ როგორ ცხოვრობს საზღვარგარეთელი მასწავლებლობა, როგორია მისი ნივთიერი და უფლებრივი მდგომარეობა, როგორ აწყობს ის თავის საპროფესიო ორგანიზაციებს, რით განსხვავდება ეს ორგანიზაციები ჩვენებური ორგანიზაციებისაგან, რა აინტერესებს რევოლიუციონურ მასწავლებლობას, რომელსაც უმთავრესად ლაპარაკია ამ მასალებში და, როგორ იბრძვის ის ახალი სკოლისათვის. ამისი ცოდნა აუცილებელია. ეს წარმოადგენს რეალურ ნიადაგს საერთაშორისო კავშირის მოსამზადებლად; ეს შეგვიძლიან მოგვცეს გავაკეთოთ სწორი დასკვნები ტაქტიკის შესახებაც, რომელსაც უნდა გავყვეთ საერთაშორისო გაერთიანების საკითხთა გადაწყვეტის დროს. ეს საზოგადოდ აამაღლებს საერთაშორისო სოლიდარობას, რაც ასე საჭიროა ჩვენი მასწავლებლისათვის; ეს გვასწავლის ბევრ რასმე, გაგვამხნევებს და დაგვაიმედებს ჩვენ საკუთარ მისწრაფებათა სამართლიანობაში, დაგვარწმუნებს ჩვენს წარმატებაში, როგორც სასკოლო-საგანმანათლებლო საქმეში, ისე საპროფესიოში.

მაშინ, როდესაც საბჭოთა რუსეთმა, მიუხედავად მთელი რიგი შეცდომებისა, მიუხედავად ხშირად უტოპიურ მისწრაფებათა ახალი სკოლის შექმნისაკენ, წინააღმდეგ ძმიე ობიექტურ პირობებისა და ხშირად მასწავლებელთა ინერტობისა,—მაინც მოახერხა ბურჟუაზიული სკოლის ძველი საფუძვლების დანგრევა, გაძევება სკოლიდან რელიგია შემოიღო ახალი ელემენტები შრომისა, სოციალური და კომუნისტური აღზრდისა და დიდი გაჭირვებით, უზომოდ ძნელ პირობებში ისახავს ახალ გზებს, ახალ საფუძვლებს განათლების საქმეში,—ამ დროს მოწინავე, მაღალი ცივილიზაციის მქონე ბურჟუაზიულ ევროპას არამც თუ არ სურს სკოლის განახლება, პირიქით, უფრო ამაგრებს „გარეშე ფორტებს თავის კაპიტალისტური სიმაგრისა“, რასაც წარმოადგენს თითქმის ყველა ქვეყნებში ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სახელმწიფოთა გამოუკლებლივ, სახელმწიფო სახალხო სკოლები. ამიტომ რუსეთში შორეულ უც-ხოელ მასწავლებლებს, თავისი ქვეყნის ბურჟუაზიულ რეჟიმით შებოჭილებს, ეჩვენი ძიებანი და მცირედი მიღწევანი, ჩამორჩენილ ქვეყანაში მაინც ახალ და გაბედულ ნაბიჯებად ეჩვენებოდათ.

მართლაც და ეს ახალი პრინციპები სასკოლო აღმშენებლობისა, რომელიც ადგილ-განსახორციელები გახდა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ უცხოეთ რუსეთში, კულტურულ დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყნებში ჯერ კიდევ წარმოადგენენ pia desiderata მოწინავე მასწავლებელთა სასკოლო რეფორმების პროგრამა მაქსიმუმისა.

ამხ. გერილეის (გერმანია), სეტონის (ჰოლანდია) და ირსმენის (ავსტრალია) წერილები ამტკიცებენ ამას და იძლევიან დახასიათებას თანამედროვე ბურჟუაზიული სკოლისა და ისეთი აღზრდისა, რომელსაც აძლევს პროლეტარიატს გაბატონებული კლასები.

კომუნისტ-მასწავლებელთა პროგრამის პროექტში, რომელიც წარმოადგინა სეტონმა ჰოლანდიის კომუნისტ მასწავლებელთა კავშირის სახელით, ნათქვამია, რომ „თავისი კაპიტალისტური და იმპერიალისტური ბუნების გამო, გაბატონებულ კლასს არ შეუძლია გადააქციოს სკოლა მშრომელთა კლასის საყოველთაო და ყოველმხრივი განათლების დაწესებულებად“, და მით უფრო არ შეუძლია ეს მსოფლიო ომის შემდეგ ძალა-უფლებისათვის ბრძოლის დროს.

თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნებში სკოლა წარმოადგენს მხოლოდ დამხმარე საშუალებას კაპიტალისტური წარმოებისა და მასთა ელემენტარ-ტექნიკური მომზადების სიზნით.

ჰოლანდიის ბურჟუაზია, ლიბერალურიც კი, რომელიც უწინ ავრცელებდა სახელმწიფო სკოლას უფლებით და ამით გამოიყენა ის ინდუსტრიალური კაპიტალიზმის იარაღად არისტოკრატიის და სამღვდელოების წინააღმდეგ ბრძოლაში, ეხლა სახელმწიფო დახმარებას უწევს ევანგელიკურ და კათოლიკურ სკოლებს.

„სახალხო სკოლა, ამბობს სეტონი, წარმოადგენს კლასობრივ იარაღს კაპიტალის პოლიტიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლად. განსაკუთრებით რელიგიისა და ისტორიის სწავლების საქმეში. სკოლა ემსახურება მორჩილების ფსიქოლოგიის განვითარებას გაბატონებული კლასის მიმართ, ე. ი. ემსახურება ისეთ ტენდენციას, რომელიც კლასობრივ ანტაგონიზმის გამწვავების დროს, უფრო ძლიერდება“. „სწორედ ეხლა, კაპიტალისტურ საზოგადოების ნგრევის დროს და პროლეტარულ რევოლიუციის ზრდის ხანაში, ლაპარაკიც არ შეიძლება განათლების რაიმე გაფართოებაზედ“... „ეგრედ წოდებული ახალი სახალხო სკოლაო, ამბობს თავის საინტერესო წერილში „ბრძოლა სკოლისათვის გერმანიაში“ ამხ. გერილეი, ე. ი. სკოლა დარიბთა, ეხლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, წარმოადგენს კონტრ-რევოლიუციონურ აზროვნებას და ბოლშევიზმის სიძულვილის გამავრცელებელ დაწესებულებისა. დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ფორმალურადაც ვერაფერი შესცვალა გერმანიის სასკოლო აღმშენებლობაში. ნასახიც არაა „ერთიანი სკოლისა, რასაც უწინ ასე ხმა მაღლა მოითხოვდენ. დარჩა რელიგიის სწავლებაც, როგორც სასკოლო საგნისა“.

(შემდეგი იქნება).

*) ბ. კოზელევის წერილი „Труд“-ში №№ 232 და 233.

# პარტიაში

— ორშაბათს, დეკემბრის 26-ს, საღამოს 7 საათზე, „ტრიბუნის“ რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის სხდომა. თხოვნა წევრებისადმი: —არ დაიგვიანონ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

**განცხადება**

მე ლევან ნიკოლოზის ძემ ქიქინაძემ **დავკარგე** საექიმო ფაკულტეტის მატრიკული № 1416.

ლევან ქიქინაძე. 158

**დავკარგე** სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-III კურსის საექიმო ფაკულტეტის სტუდენტმა ქალმა ლიუბა დავიდოვისამ მატრიკული № 8350.

157

**დავკარგე** შემდეგი მოწმობები, სტ. კოდრათი ფილიპეს ძე კერესელიძის სახელობაზე: პირადობის მოწმობა, მოცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან; 2 სტუდენტთა კოოპერატივ „ჩვენი ოჯახიდან“ მოცემული საწევრო ბარათი და მე-3 სასადილო ბარათი სტუდენტთა სასადილოსაგან, რომლებსაც ვაცხადებ გაუქმებულად.

156

ექიმი

**ნ. ა. არუთინოვმა**

განაახლა მიღება

სპეციალურად სიფილისი, სუსუნატი და მისი შედეგები; სქესობრივი დაუძლურება. მიღება საღამოს 4—7 საათ. სოლოლაკი. ცეცხლმქრობელ რაზმის უკან. ახალბებუთოვის ქ. № 5. (Новобебутовская). 152.

კბილის ექიმი

**ი. გ. ხარებავა გაქრაძე**

იღებს ავადმყოფებს, ყოველ დღე დილის 9—2 და საღ. 4—6-დე ექიმობა, ჰლომბები ხელოვნური კბილები. მუშტაიდის შეს. № 4.

109

ტფილისი 1921 [illegible] ს. ფ. ს. ფ.